

# ბიზნესი



№ 206  
(12 276)

1 სექტემბერი შაბათი 2007  
გამოდის 1934 წლიდან

ფასი  
50 თეთრი



სუპერთასი მიქლანსა ანტონიო პუარტას ტექნიკური შედეგები 11

## ევროპის ბოლო საბრანსფერო მილი-მოლი

გუშინ ევროპაში საბრანსფერო "დედლანინი" იყო. შედგა რამდენიმე საყურადღებო გარიგება, რომელთა მოკლე ჩამონათვალს ქვემოთ გთავაზობთ...

- ალვარო რეკობას ირგვლივ სპეკულაციებს ბოლო მოელო. გუშინ, ურუგვაელი თავდამსხმელი "ტორინოში" ერთნლიანი არენდით გადავიდა.
- "რომა" "კიევის" ალბანელი ფორვარდის ერიონ ზოგდანის ტრანსფერზე შეუთანხმდა, თუმცა ბოლო მომენტში ფეხბურთელმა "ოლიმპიკოზე" გადასვლა იუარა და თავი "ლივორნში" ამოჰყო. არადა, ცოტა ხნით ადრე, დედაქალაქელებმა კონგოელი თავდამსხმელი შაბანი ნონდა "გალათასარაში" გაუშვეს.
- 31 წლის თავდამსხმელი ბერნარდო კორადი, რომელიც ბოლოს "მანჩესტერ სიტიში" თამაშობდა, "პარმაში" დაბრუნდა.
- "ლაციომ" მარცხენა მცველი მანუელ ბელერი "ატლანტაში" გაანათხოვრა. იქვე ითამაშებს არგენტინელი ცენტრალური მცველი მასიმოლიანო პულეგრინო.
- 28 წლის თავდამსხმელმა ფაბიო კაზერტამ "კატანია" "პალერმოზე" გაცვალა.
- "ჩელსი" მცველი გლენ ჯონსონი 4 მილიონ გირვანქად "პორტსმუთს" მიჰყიდა. თავად "პორტსმუთმა" კი "ფულჰემში" ორი ნლით გაუშვა სერბი მცველი დეიან სტეფანოვიჩი.
- "დერბი" მოტლანდის ნაკრებისა და "სელტიკის" ფორვარდი კენი მილერი შეიძინა. 27 წლის ფეხბურთელი "ცხვრებს" 3 მილიონი გირვანქა დაუფლდა.
- "ატლანტიკომ" ერთნლიანი კონტრაქტი გაუფორმა "ბარსელონის" პორტუგალიელ ნახევარმცველ ტიაგო მოტას. ამას გარდა, "როხიბლანკომ" "სარაგოსაში" გაუშვა ფრანგი საყრდენი პეტერ ლუქსენი.
- "ვოლფსბურგმა" ფრანგული "ლე მანიდან" ბრაზილიელი ფორვარდი გრაფიტე გადაიბირა.
- "ვერდერის" ნახევარმცველი კრისტინ შულცი "ჰანოვერის" საკუთრება გახდა. კონტრაქტი 4-წლიანია.

საქართველო-უკრაინა. ნაკრების შემაჯავებლობა და კლას ტოპმოლოდის პრესკონფერენცია

# შესდროებას ყველას ვაპატიებთ, ნაკრებისადმი აბღაბული დამოკიდებულება კი ყოველად დაუშვებელია

შოთა საქართველოსთვის მარადონას ტოლფასია



ნუგზარ სურგულაძის ფოტო

კლას ტოპმოლოდის უკრაინასთან (8 სექტემბერი, შინ) შესარჩევი და აზერბაიჯანთან (12 სექტემბერი, სტუმრად) ამხანაგური მატჩის სათამაშოდ 24 ფეხბურთელი გამოიძახა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრებში სერიოზული ცვლილებებია. მოდით, ჯერ შემადგენლობას გაეცანით:

მეორე მხარე
გიორგი ლოგინი (პარაკტი, უკრაინა) ნუკრი რაზვიზილი (რუზინი, რუსეთი) გიორგი მარაჩიძე (დინამო თბილისი)
მეორე მხარე
კახა კალაძე (ბილანი, იტალია) გაგაზ ანთონი (ლოკომოტივი, რუსეთი) ოთარ სიხაიძე (ფაშინგო, გერმანია) ლუკა სალუქაძე (რუზინი, რუსეთი) გიორგი შაჰინაშვილი (ტფილისი, ავსტრია) გათა ლვინაშვილი (ბილანი 1860, გერმანია) ზაბალონი (სპორტ, უკრაინა) ილია კანდელიანი (პარაკტი, გერმანია)
ნახევარმცველები
ზურაბ ბინვაშვილი (დინამო, უკრაინა) ლევან ციციშვილი (სპორტ, უკრაინა) ვახა კანაბა (დინამო, უკრაინა) ლევან კობიაშვილი (ბილანი, გერმანია) გიორგი მარაჩიძე (დინამო თბილისი) ლევან ჯანი (ლოკომოტივი თბილისი) ალექსანდრე კოვალენკო (დინამო თბილისი)
თავდასაცემები
გიორგი დემეტრაძე (არსენალი, უკრაინა) დავით სირაძე (პარაკტი, გერმანია) ალექსანდრე იაშვილი (პარაკტი, გერმანია) დემეტრი ტატანაშვილი (ამერი თბილისი) ოთარ მარაჩიძე (ზაპარაკტი, უკრაინა) ლუკა მარაჩიძე (მეტალისტ, უკრაინა)

როგორც ხედავთ, ნაკრებში ორი დებიუტანტია: "ამერის" ფორვარდი დემეტრი ტატანაშვილი და "ლოკომოტივის" ნახევარმცველი ლევან ჯანი. ამ უკანასკნელის გამოძახება მართლაც რისკიანი ნაბიჯია ტოპმოლოდის მხრიდან. ოქტომბერში ყენია 17 წლის ხდება. სხვათა შორის, მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ნაკრებში ადრეც ყოფილა, როცა იოჰან ბოსკამპმა ეროვნულში 17 წლის ზურაბ ხიზანიშვილსა და ოთარ ხიზანიშვილს უხმო. დღეს ორივე ეროვნული ნაკრების წევრია. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ყენია ქვეყნის მთავარ გუნდში დამკვიდრებას. დამანტირებელია ტატანაშვილის დებიუტიც (თუ ამის შანსი მისცეს). შოთა არველადის ნასვლის შემდეგ, ტოპი მისი შემცვლელის ძიებაშია. თუმცა ტატანაშვილს შოთამდე ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი. და ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ლუქსემბურგისთვის გამოძახებული ფეხბურთელებიდან ჰერ კლასმა უარი თქვა დავით კვიციანიზე, დავით მუჯირზე, ალექსანდრე ამისულაშვილზე, ლადო ბურდულსა და ვასილ გიგიაძეზე. რაც შეეხება ზურაბ ხიზანიშვილს, "ბლექბერნის" მცველი დისკვალიფიცირებულია...

ლილ და მომავალ მატჩებს შეეხოს. ტოპმოლოდთან ერთად, პრესასთან შეხვედრას, ტრადიციულად, ნოდარ ახალკაციც დაესწრო...  
**ტოპმოლოდი** - უკრაინასთან მატჩისთვის მზადება, ფაქტობრივად, დაწყებულია. სამწუხაროდ, ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობა კვლავ უთამაშებელია. ეროვნულ გუნდში გამოძახება და თამაში ყველასთვის დიდი პატივი უნდა იყოს. შესაბამისად, ფეხბურთელებმა მაქსიმუმი უნდა გაიღონ. ლუქსემბურგში ზოგი ფეხბურთელის თამაში, რბილად რომ ვთქვათ, არ მოემართა. ვიდრე ნაწილობრივ აშკარად გამოჩნდა, რომ თამაშის ორგანიზაციული დონე აშკარად უმჯობესდება, მაგრამ შედეგზე ეს ჯერ ვერ ისახება. სამწუხაროდ, გოლები ვეღარ გავაქვს. შოთა არველადის შეცვლა ძალიან რთულია. შეიძლება ითქვას, რომ არველადე საქართველოსთვის მარადონაა. გამოძახებულთა შორის არიან იაშვილი, სირაძე... ტატანაშვილსაც ვუხმეთ. სამწუხაროდ, ლევან მჭედლიძე კვლავ ტრავმირებულია. ჯაკობიაც დაშავებული იყო, მაგრამ უკვე გამოჯანმრთელდა და აზერბაიჯანთან ითამაშებს კიდევ. ტრავმირებულია ნინამძღვრიშვილიც... უნდა გითხრათ, რომ ჩვენი თვალთახედვის არეშია აგრეთვე ნიკა გელაშვილი...

გასვლით მატჩებში მოხილვება გეაკლია. ახლა, შესარჩევის დარჩენილი მატჩები გუნდის ბირთვის ჩამოსაყალიბებლად უნდა გამოვიყენოთ. ამიტომაც ვუხმეთ ახალბედებს. ამ უქმეებზე საქართველოს ჩემპიონატის ტურია. დავაკვირდებით ფეხბურთელებს და ვინც მოგვეწონება, უკრაინასთან თუ არა, აზერბაიჯანთან მანც ვათამაშებთ...  
შარშან, 17-წლამდელთა პირველი შესარჩევი ეტაპი თბილისში ჩატარდა. ჩვენი ჭაბუკებიდან სამი ფეხბურთელი გამოვარჩიეთ: ლევან ყენია, გიორგი მჭედლიძე და გიორგი მაკარიძე. თუ გახსოვთ, საფრანგეთთან მატჩისთვის მჭედლიძე და მაკარიძე გამოვიძახეთ კიდევ. ამჯერად, ყენიასაც ვუხმეთ. გვიან, ეროვნულში მისი ადაპტაცია გეგმის მიხედვით მოხდება. ის ჯერ 17-წლამდელთა ნაკრებში გამოსცადეს, რამდენიმე თვეში 19-წლამდელთა, მერე ახალგაზრდულშიც და ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველგან გამოჩნეული იყო. არც ისაა გამოჩნეული, რომ ყენიამ უკრაინასთან ითამაშოს კიდევ, შესაძლოა, ძირითადად კი. ის საფეხბურთო გამჭრიახობით გამოირჩევა. მისი ყველა მოქმედება გააზრებულია. შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მთავარია, ფეხბურთელი მოედანზე ბოლომდე დაიხარჯოს. შეცდომას ყველას ვაპატიებთ, ნაკრებისადმი აბღაბული დამოკიდებულება კი დაუშვებელია.

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციაში გამართული პრესკონფერენცია სწორედ ნაკრების განე-

კიდევ ერთი პრობლემა გვაქვს:





www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ძართულ ფეხბურთს წარმოგიდგინებთ კომპანია ყაზბეგი



www.pfl.ge

## შესლომებს ყველას პაპატივით, მამრამ...



გიორგი გოჭიკაშვილი

**შესარჩევნი ციკლში ნაკრებმა არაერთი მატჩი წაავი. თქვენ კი აცხადებთ, საქართველოს ეროვნული გუნდი მალე დონეს უახლოვდება. რა გაძლევეთ ამის თქმის საფუძველს?**

- გაიხსენეთ, ნაკრები დიდი ანგარიშით წაგებებს ჩვენს შიგნით. გუნდის სტაბილურობისთვის, უმთავრესად, დაცვის საიმედო თამაში იყო აუცილებელი. გარემოებები, ჩვენი ნაკრების უკანა ხაზი სათანადო დონეს ნელ-ნელა უახლოვდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრავმების გამო, თითქმის ყველა მატჩში სხვადასხვა შემადგენლობით გვიწევდა თამაში და ამიტომ, აქცენტს ძირითადად დაცვაზე ვაკეთებდით. ახლა, შეტევა და უფრო შედეგიანი თამაში უნდა ვისწავლოთ. მასხენდება ლუქსემბურგთან მატჩი და გული მწყდება, რომ ექვსი-შვიდი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ვერ გავიტანეთ პენალტიც... და ყოველივე ამის შემდეგ, თამაშს როგორღა მოვიგებ? ასე რომ, სამუშაო გვრჩევს კიდევ ბევრია.

**ხიზანიშვილი ნაკრებში ყოველთვის თამაშობს, მაგრამ ამჯერად, გამოძახებულთა შორის არაა. ეს ერთეული შემთხვევაა თუ სხვა ფეხბურთელებსაც შეეხებათ მსგავსი სანქცია?**

- ხიზანიშვილი დისკვალიფიცირებულია. ამას გარდა, ბოლოხანს, მას კლუბში არ ათამაშებენ და ფორმაც არაა. ცხადია, რომ ლუქსემბურგშიც ვერ იყო მონაწილეობის სიმაღლეზე. ვიმეორებ: ნაკრებში ყველა ფეხბურთელმა ბოლომდე უნდა იბრძოდეს, თუ არა და, აღარ გამოვიძახებთ. გაიხსენეთ გლაზგო. ბოლო წუთზე ხიზანიშვილის ტრავმა და ის შეცდომა წაგებად დაგვიყვდა.

**იქნებ, პრობლემა მწვრთნელშია? თუ ეს ფეხბურთელები შარშან პატრიოტები იყვნენ, ახლა აღარ არიან?**

**ახალკაცი:** - მოდით, მე ვიპასუხებთ ამ კითხვას. აქ პატრიოტიზმი არაფერ შუაშია. თუკი ურუგავისთან და თურქეთთან კარგად თამაშობ, ლუქსემბურგთანაც იგივე უნდა გააკეთო. როცა ფეხბურთელს ზედმეტი ნონა აქვს, ფორმაც არაა, მერე კი ჩამოდის ნაკრებში და ბოლომდე არ იბრძვის, როცა 10-მეტრიან მონაკვეთში 7 მეტრს აგებს... როცა 11 ფეხბურთელიდან მხოლოდ 6-7 იბრძვის, დანარჩენები კი სანახევროდ ირჯებიან, რბილად რომ ვთქვათ, ეს დისბალანსს იწვევს. ნაკრები კლუბი არ არის. ეროვნულ გუნდში ფეხბურთელი ფიზიკურად მომზადებული უნდა მოდიოდეს. აქ შეკრება ზოგჯერ ორ-სამდღიანია და, ბუნებრივია, ფეხბურთელის სრულფასოვნად მომზადებისთვის ეს ძალიან ცოტაა. ფიზიკურ მომზადებაზე არასდროს მიუღიათ მენიშენა კალაქსა და კობაშვილს. მა-

თი და შოთას კომპენსირება ევროპის ბევრ კლუბს გაუჭირდებოდა.

**მიმდინარე შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, კლავს ტომპიოლერი გვირგვინი, რომ ნაკრები ჯგუფიდან გამსვლელ გუნდთან შორის იქნებოდა. ამჟამად კი ბოლოსწინა ადგილზე ვართ და მხოლოდ უქულო ფარეებს ვუსწრებთ. შევძლებთ თუ არა უკეთესი პოზიციის დაკავებას? და ისიც გვინტერესებს, რამდენად რეალურია, რომ ჩვენმა ნაკრებმა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოდეს?**

**ტომპიოლერი:** - ბუნებრივია, ცხრილში უკეთეს პოზიციას დავიკავებთ. შინ 3 მატჩი გვაქვს და მდგომარეობის გამოსწორება ნამდვილად შეიძლება. ვეთანხმები ნოდარს, ეს კლუბი არაა, ნაკრები და შედეგზე ორიენტირებული, ძლიერ გუნდის ჩამოყალიბებისთვის 3 წელიწადია საჭირო. ლუქსემბურგში ამკარად გამოჩნდა, რომ ზოგმა ფეხბურთელმა შესაძლებლობის ზღვარზე ითამაშა. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ შეგახსენებთ: ოპტიმალური შემადგენლობით თამაში დღემდე ვერ მოვახერხეთ. იყო ტრავმები, იყო დისკვალიფიკაციები... ამ სიტუაციაში ბევრი დრო დაიკარგა.

**ახალკაცი:** - გადავავლოთ თვალი ჩვენი ნაკრების განვლილ მატჩებს. სამწუხაროდ, იტალიელთა პირველივე დარტყმა ჩვენს კარში გოლით დასრულდა. ანგარიში კი გავათანაბრეთ, მაგრამ კანკავა გააძევეს. იმ არბიტრს უფრად დაბალი შეფასება დაუწერა და ახლა, საერთაშორისო მატჩებს იშვიათად აძლევენ, მაგრამ ჩვენ ამით არაფერი შეგვმატება. ლიდერთა შორის მყოფ შოტლანდიას სტუმრად თანაბრად ვეთამაშეთ, მაგრამ... კვიში საიდან გავუშვით გოლი? დარწმუნებული ვარ, კალაქ რომ გვეყოლოდა, იმ გოლებს არ მივიღებდით. ფარეებთან თბილისური მატჩის მეორე ტაიმი გამოჩნდა, რომ ნაკრებისთვის საჭირო იყო შედარებით სუსტ მეტოქესთან გაჯობება, რათა ჩვენი გუნდი ფაქტობრივად როლით ყოფილიყო. მინდა შეგახსენოთ, რომ ლუქსემბურგი შოტლანდიასთან მხოლოდ ბოლო წუთზე გაშვებული გოლით დამარცხდა. კლაუსმა ზუსტი შეფასება გააკეთა: ლუქსემბურგთან ზოგმა ფეხბურთელმა შესაძლებლობის ზღვარზე ითამაშა. ეს, უმთავრესად, რუსეთსა და უკრაინაში მოასპარეზე ლეგიონერებს ეხება. აქსიომაა: ვისაც ნაკრებში თამაში არ შეუძლია, მას სხვა შეცვლის. თუ ეს ახალგაზრდები მოედანზე მაქსიმუმს არ გაიღებენ, მათაც სხვა შეცვლის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ნაკრებში ადგილი არავის არ აქვს გარანტირებული, თვით კალაქსაც კი... ისიც გასაგებია, რომ შევბუღების შემდეგ, ფეხბურთელები ჯერ კიდევ არ არიან ფორმაში, მაგრამ ეს პრობლემა სხვა გუნდებსაც აწუხებთ. იტალიამ უნგრეთში 1:3 წააგო...

**ტომპიოლერი:** - უკრაინასთან მნიშვნელოვანი მატჩი გველის და ბუნებრივია, გულშემატკივართა მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს. კონტაქტში ვარ კობაშვილთან და მის მწვრთნელ მირკო სლომკასთან. კობაშვილი "შალკეში" არ ითამაშებს, მაგრამ სპეციალური პროგრამით მოემზადება და მჯერა, უკრაინასთან თამაშს შეძლებს. შეკრება 3 სექტემბერს დაიწყება. მზადების განრიგს ფედერაციის პრესსამსახურის მეშვეობით გაცნობთ. გვინდა, ოთხშაბათს გუნდი ორად გავყოთ და ტესტმატჩი ვათამაშოთ.

**ახალკაცი:** - ერთსაც დავამატებდი. ეროვნული გუნდის დარად, შესარჩევი მატჩები ულის ახალგაზრდულ ნაკრებსაც. 7 სექტემბერს ყაზახეთს ვუმასპინძლებთ, 11-ში კი ესპანეთს სტუმრად ვეთამაშებთ. ხსენებული მატჩებისთვის, პეტარ სეგრტი შემადგენლობას ამ უქმეებზე დაასახელებს.

დავით ცაბაძე

## ეროვნული ნაკრები

# ასეთია ტოპის ტორფი

ისთვის ამზადებს მას. მარჯვენა ნახევარ-მცველად ნაკრებში ცაცია ლევან ცქიტიშვილსაც უთამაშია და არცთუ ურიგოდ, მაგრამ ეს ადრე იყო, როცა გუნდს ალექსანდრე ჩივაძე წვრთნიდა. ფლანგზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის სისწრაფე ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა და ამაში ბურდულს მისი სანაკრებო კონკურენტები ვერ ჯობნიან, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ლადომ ნაკრების ბოლო მატჩებში ფლანგური გარღვევებით თავი ვერ დაგვამახსოვრა.

საუკრაინო სიაში დავით კვიციანიც არ არის. ტომპიოლერიც მას ალბათ, ილია კანდელაკი ანაცვალა, ვისაც ბოლო მატჩებში არ იძახებდა.

ძალიან საინტერესოა, რა ფორმაშია და როგორ აპირებს ნაკრების მწვრთნელი ცქიტიშვილის გამოყენებას. უცნაურია, ცქიტიშვილი ისევე უგუნდოდ რომ არის. ასეთი ტექნიკური მოთამაშე ბევრი ევროპული გუნდისთვის მეტად ფასეული იქნებოდა.

ახალი არ არის, რომ საქართველოს ნაკრების გერმანული შტაბი დიდი სიმბათით უყურებს თბილისის "დინამოს" 17 წლის მეკარე გიორგი მაკარიძეს. ის ჯერ ვერ ხვდება "დინამოს" თერთმეტულში, მაგრამ მანაც გამოიძახეს პირველ ნაკრებში. თუმცა ტოპისგან ასეთებს ჩვეულებრივად - ლუქსემბურგთან მატჩისთვის რევაზ თევდორაძე გამოიძახა, ვინც ამ დროისთვის თბილისის "მურანის" სასტარტოში ვერ ხვდებოდა. გასაგებია, რომ ტომპიოლერი მეკარის ძიებაშია, მაგრამ ეროვნულ გუნდში გამოძახებას ალბათ, ცოტა მეტი დამსახურება მანაც უნდა. სათამაშო პრაქტიკა აკლიათ გიორგი ლომიასა და ნუკრი რევიშვილსაც. უთამაშებლობა ნებისმიერი ამპლუსის ფეხბურთე-

ლისთვის დაბრკოლებაა, მეკარისთვის კი განსაკუთრებული პრობლემაა - მისი ამპლუსა განსაკუთრებულია და განსაკუთრებულ ტონუსსაც მოითხოვს.

არც სხვა რეგულაციები აქვს დალბინებული საქმე ჩვენ ნაკრებს. "ფრაიბურგის" ახალი მწვრთნელი რობინ ლუტი ოთარ ხიზანიშვილს ვერ არ ათამაშებს. ყაზანის "რუბინის" ბოლო მატჩებში აღარ ჩანს ლამა სალუქვაძე. ტრავმის შემდეგ ახალგაზრდა მწვრთნელისთვის ზაალ ულიავა. მაკარიძისა და ყენიას გარდა ტომპიოლერიც ეროვნულ გუნდში კიდევ ერთ დეპიუტანტს უხმობს. 23 წლის დიმიტრი ტატანაშვილს მანამდე არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არ უთამაშია, ის "ამერმა" თბილისის "სპარტაკში" თამაშისას შენიშნა და სამი წლის წინათ იქიდან აიყვანა. ტატანაშვილი მრავალმხრივი ფორვარდია და მისი გამოძახება ლოგიკურია - საქართველოს ნაკრებმა ბოლო სამ თამაშში ერთი გოლიც ვერ გაიტანა. ისიცაა, რომ საუკრაინოდ გამოძახებულ თავდასხმელებში ნომინალური ცენტრფორვარდი ტატანაშვილის და ლამა ჯაკობიას გარდა, არცისზე ითქმის. ტომპიოლერმა ჯაკობია თითქმის ერთწლიანი პაუზის შემდეგ გამოიძახა. ხარკოვის "მეტალისტში" ჯაკობიას, მანაც და მანაც არ მისდის საქმე კარგად. ტომპიოლერმა ისევე არ უხმობს სანდრო იაშვილს და ამჯერად მყარი არ-გუმენტი აქვს - სანდროს შვეიცარული "თუნის" სასტარტოში ვერ არ უთამაშია, თუმცა ისიცაა, რომ ტოპი ნაკრებში ხშირად იძახებს ისეთებს, თავიანთ კლუბში ვარსკვლავებს რომ ვერ წყვეტენ.

ასეთია ტოპის გერმანიის საწვავით და არცთუ მაღალი ხარისხის სანავით საქართველოს ნაკრებს გაზი, დიახაც, უნდა მოუმატოს.

დავით თაყაიშვილი

## გოგითა გოგუა ჯერ ვერ ითავაზებს

რამდენსაც "სატურნის" ოფიციალური ვებ-გვერდი, ვერჯერობით, გოგითა გოგუაზე დამაინტერესებელი ინფორმაციას ვერ გავანდის. სტატია გუნდის ვარჯიშს მიეძღვნა და შევიტყუეთ, რომ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი გოგითა გოგუა ვერ მხოლოდ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

გოგითა თენახევის ნინოთ დამავდა და გერმანიის მენისკის ოპერატორია ვაი-

კეთა. სავარაუდოდ, ის მოედანს სექტემბრის მეორე ნახევრიდან დაუბრუნდება.

## საქართველოში თამაშები ალრა დაიწყება

პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა საქართველოს ჩემპიონატის კალენდარში შეტანილ ცვლილებებზე ისაუბრა.

"სექტემბერში ტურის ყველა შეხვედრა 16.30 საათზე დაიწყება. გამონაკლისი

"ამერი"-სიონის" შეხვედრა იქნება, რომელიც 16.00 დაიწყება. "საზოგადოებრივ მუნიციპალიტეტს" ხელშეკრულება გავაფორმეთ. ეს მატჩიც ამ შეთანხმების ნაწილია. ის 16.00 საათზე დაიწყება. შეიცვალა თბილისის "დინამოსა" და "მურანის" შეხვედრის თარიღი და იგი 2 სექტემბრის ნაცვლად 3-ში ჩატარდება."

ბურჯალიანის თქმით, 31 ავგუსტოდან განახლდა ინტერნეტის მომხმარებლებში პოპულარული თამაში "ჩვენი ფეხბურთი".

მერაბ მაგულაშვილი

**CDN CAUCASUS DIGITAL NETWORK**

ბათუმის სატელეკომუნიკაციო მომსახურების სერვის კომპანია:

- ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
- ტელეფონის დადგმა;
- კავშირი ყველგან და ყოველთვის;
- ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;
- ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

**განმავლობაში**

- 24 საათის უწყვეტი მომსახურება
- უწყვეტი მონიტორინგი
- ტექნიკური მხარდაჭერა
- გარანტირებული ხარისხი
- გადამხდელის ხარისხიდან გასულიყოფა

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა! მხოლოდ ოპტიკურ-ბოქსოვანი ტექნოლოგიები!

დავით ცაბაძე


იუბილი

ილია დათუნაშვილი 70

...საყოველთაოდ აღიარებულია, რომ თავის ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში თბილისის "დინამო" გამორჩეულად ყველაზე ლამაზ ფეხბურთს 60-იან წლებში თამაშობდა. მანამდე გეყავდა ტყავის ბურთის ჯადოქრები (ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ლოლობერიძე), მერეც არაერთი მართლა ვარსკვლავი გამოჩენილა (80-იანი წლების "დინამოს" ვგულისხმობთ), მაგრამ "ოქროს ბიჭები" მაინც გამორჩეულები იყვნენ. ჩვენი მაშინდელი გუნდის მეტოქეთა მწვრთნელებს, მეკარეებსა თუ მცველებს, ყველა მატჩის წინ ერთი საფიქრალი ჰქონდათ: როგორ შეეჩერებინათ "დინამოს" თავდასხმა! თამაშის მსვლელობისას კი ეს "საფიქრალი" მათთვის ჯოჯოხეთის ტოლფასი იყო; არცთუ იშვიათად კი, აბუჩად აგდების და გამასხარავებისაც - ჰო, უარესებიც დამართინათ, რამეთუ მესხის, მეტრეველის, ბარქაიასა და დათუნაშვილის წინააღმდეგ უწევდათ თამაში! ამ ზღაპრული ოთხეულის თითოეულ წევრს მართლაც შეეძლო კონკრეტული მატჩის ბედი გადაეწყვიტა; ეგ კი არა, რამდენიმე თანაგუნდელთან (კოტრიკაძე, იამანიძე, სიჭინავა) ერთად საერთაშორისო აღიარებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ, სხვა დროში და სხვა ეპოქაში ვცხოვრობდით...

...ილია დათუნაშვილი იმ "ლამაზი გუნდის" შეუცვლელი და წამყვანი ფეხბურთელი იყო; მეტოქეთა კარში მის მიერ გატანილი უამრავი გოლიდან ქართველი ქომაგი ორს მაინც არასდროს დაივიწყებს: დათუნაშვილის "დუბლმა" თბილისის "დინამოს" საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოუტანა!

...ილია დათუნაშვილი დღევანდელი იუბილარია; ქართული ფეხბურთის დამსახურებულ და ამაგდარ ვეტერანს კი გასახსენებელი მართლაც ბევრი აქვს...



ბათუმში დავიბადე და იქაურ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში დავიწყე თამაში. უმამოდ ვიზრდებოდი და ბიძაჩემმა ლანჩხუთში წამიყვანა, სადაც ჯერ სოფლის, მერე კი რაიონის პირველობაზე ვთამაშობდი. ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით პირველ მწვრთნელს ლადო ნარმიანიძეს და ევგრაფი შევარდნაძეს, რომელსაც ქართული ფეხბურთისათვის ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული.

**სერიოზულ დონეზე თქვენი დებიუტი როდის შედგა?**

- ლანჩხუთის "კოლმეურნეში" ვთამაშობდი და საქართველოს პირველობაზე მორეოდან პირველ ჯგუფში გადავადგილდი. სეზონის ბოლოს თბილისში საქართველოს მასშტაბით პერსპექტიული ფეხბურთელების შერჩევა მიმდინარეობდა და სწორედ იქ მწახა ანდრო ჟორდანიამ. სულ მოკლე ხანში კი მე და ჩემი თანაგუნდელი ლევან ჟორდანიანი ქუთაისის "ლოკომოტივში" ("ტორპედო" მერე დაარქვეს) ანდრო ჟორდანიასთან ჩაირიცხეთ. ეს კი უკვე სხვა დონე იყო - საკავშირო პირველობის "ზ" კლასი, მოგვიანებით პირველ ლიგად რომ გადაკეთდა.

**ქართული ფეხბურთის პატრიარქად შერაცხული ანდრო ჟორდანიანი მალე თბილისის "დინამოში" გადმოიყვანეს და თქვენც აქ აღმოჩნდით.**

- მაშინ "დინამოში" ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელები თამაშობდნენ, თუმცა ძირითადად ადგილის დამკვირვებელი გამჭირვებია. ნახევარდაცვაშიც მითამაშია, თავდასხმაში ორივე ლანჩხუთეც და ცენტრშიც. 1958 წელს ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა, მთელი მსოფლიო ახალ ტაქტიკურ განლაგებაზე (4-2-4) გადაენცო. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ უნივერსალიზმი მაშინაც ფასობდა...

**უფროსი-თაბისი ქომაგებისგან ხშირად გვსმენია, რომ ისტორიის განმავლობაში "დინამო" ყველაზე ლამაზ ფეხბურთს 60-იან წლებში თამაშობდა.**

- შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ თაბების შედარებაც ძნელია. უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთი ვითარდება, წესები იცვლება და ამიტომაც არ მიმაჩნია მართებულად, როცა ვინმეს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებენ. როგორ, ბორის პაიჭაძე ვინმეზე ნაკლები იყო? ანდა, სხვა მეტრეველებზე და მიმა მესხზე ძლიერი ფეხბურთელები გეყავდა? მიმა მსოფლიო ნაკრებში მიიწვიეს, მაგრამ მოსკოვში

# ოქროს ბიჭების ბოგბარდირი

ტიანი დარღვევისათვის პენალტი მოგვცა. ჰოდა, თამაშის მერე ფედერაციის ხელმძღვანელებისგან სერიოზული საყვედურები მიიღო - ეს თამაში "დინამოს" უნდა წაეგო, შენ კი მათ კარში გატანილი გოლი გააუქმე და პენალტიც აუქმე...

**- "ოქროს მატჩში" გადაწყვეტი გოლი თქვენ გაიტანეთ, თანაც, უშუალოდ კუთხურიდან.**

- 1958 წელს ბრაზილია რომ ჩემპიონი გახდა, ყველას პირზე ეკვრა მათი ნახევარმცველის - დიდის მიერ შესრულებული საჯარიმოები და კუთხურები, "ხმელი ფოთლის" სახელით რომ შევიდა ისტორიაში. ვერ კიდევ ქუთაისის "ტორპედოში" ვთამაშობდი, ანდრო ჟორდანიამ ამ კომპონენტზე ვარჯიში რომ დამანებინა. "დინამოში" რომ გადმოვედი, ყოველი ვარჯიში მერე ვრჩებოდი და 50 ასეთ დარტყმას მაინც ვასრულებდი.

**- მეტოქის მეკარეებმა თქვენი "საიდუმლო იარაღის" შესახებ არ იცოდნენ?**

- როგორ არ იცოდნენ და "ოქროს მატჩშიც" ორჯერ კუთხურიდან ახლო კუთხეში ჩავახვიე, მაგრამ ორივეჯერ მეკარემ აძლია. აი, მესამედ კი შორეულ კუთხეში გავგზავნე ბურთი და ანგარიშიც გავატანაბრეთ. დამატებითი კიდევ ერთი გოლი გავიტანე, მერე მიმა მესხმა და ბოლოს სხვა მეტრეველმა.

**- მაშინ "ტორპედოს" ძირითადი მეკარე ანზორ კავაზაშვილი იყო, მაგრამ "დინამოსთან" არ დააყენეს.**

- ჰო, ჩათვალეს, რომ თანამემამულეებთან მთელი ძალით არ თამაშებდა. არადა, ძალიან მაღალი დონის მეკარე იყო. საერთოდაც, იმ დროს "ტორპედო" ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე იყო. ფეხბურთელებიც ერთი-მეორეზე უკეთესი ჰყავდა - ვალენტინ ივანოვი, ვალერი ვორონინი, ელვარდ სტრელცოვი.

**- ჩემპიონობამ თქვენს ცხოვრებაში რა შეცვალა?**

- უპირველეს ყოვლისა, ეს იყო უბედნიერესი განცდა, რომ ქართველ ხალხს 30 წლიანი ლოდინის მერე ჩემპიონობა ვაჩუქეთ. ამაყები ვიყავით; გულშემატკივრები ისედაც ხელის გულზე გვატარებდნენ, მაგრამ ათმაგად და ასმაგად დაფასებას

ვგრძნობდით, როცა საქართველოს სხვადასხვა რაიონში შეხვედრებს გვინწყობდნენ.

**- მალე თქვენ ინდივიდუალური პრიზიც მოიპოვეთ, როცა 1966 წელს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდით. ნუთუ ამ ფაქტმა მაინც არ გაგიხსნათ გზა საბჭოთა კავშირის ნაკრებისკენ?**

- ბომბარდირი ხომ გავხდი, "33 საუკეთესოში" მაინც მეორე ადგილზე დამაყენეს. ნაკრების თემა კი... რა ვიცი, ალბათ, "ათი თავით" მაღლა უნდა მდგარიყავი კონკურენტებზე, ნაკრებში რომ მოხვედრილიყავი. ნელანაც ვთქვი - საშინელი შოკინიზმი იყო. აბა, შეიძლებოდა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მიმა მესხის არწავანა? კი, გული როგორ არ მწყებოდა, მაგრამ რა უნდა მექნა...

**- 1966 წელს თქვენ ერთი უნიკალური რეკორდიც დაამყარეთ, როცა ერთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანეთ. თანაც, ვისთან - ჩვენს ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან - ერევნის "არარატთან".**

- ეგ კი არა, მეექვსეც უნდა გამეტანა, მაგრამ თანაგუნდელმა შემიშალა ხელი. ხომ არის ხანდახან, როცა "თამაში ნავივა", თანაც, ზოთივე გოლი მეორე ტიპში 23 წუთიან(!) მონაკვეთში გავიტანე.

**- ბატონო ილია, "არარატთან" მატჩები ასეთ დაძაბულ და პრინციპულ დაპირისპირებას რატომ ატარებდა?**

- ალბათ, ახლო მეზობლები რომ ვიყავით... თანაც, ეს დაპირისპირება უფრო ქომაგებში იყო, ვიდრე ფეხბურთელებს შორის. თამაშის დროს მოწინააღმდეგეები ვიყავით, მერე კი - მეგობრები. აი, იმ თამაშის მერე მე და მიმა მესხმა რესტორან "საქართველოში", "არარატის" საუკეთესო ფეხბურთელი ოვიგანი დაგვაპტივეთ. ძალიან კარგი ფეხბურთელი იყო და იცით, სუფრაზე რა გვითხრა? თურმე, "დინამოსთან" ნებისმიერი მატჩის წინ მათთან სომხეთის პირველი პირი მიდიოდა და "არარატის" ფეხბურთელებს ეუბნებოდა - ოღონდ, ქართველებს მოუგეთ და დანარჩენი ყველა თამაში ნააგეთო...

**- ისიც მართალია, რომ იმ ხუთი გოლის მერე ერევანში ყველაზე არასასურველი სტუმარი იყავით?**

- რაღაცები მესმოდა, მაგრამ არ ვიფიქრებდი.



ილია დათუნაშვილის გაცილება დიდი ფეხბურთიდან

რეზი. მანამდე, სანამ ჩემმა მეზობელმა გია ზენაიშვილმა ერევანში საკუთარი თვლით არ ნახა. თურმე, წუ იტყვი და ერევანში ჩემი სურათი... ტრამპი ჰქონიათ გამოკრული და სასროლეთშიც უზარმაზარი რიგი მდგარა...

**- ამის მერე მეორე წელს ერევანში სათამაშოდ მაინც წახვედით?**

- ჩავედი და რაც იქ ვნახე?! მატჩამდე 15 წუთით ადრე მოთელვაზე გამოვედით და სტადიონზე სტენა-ყიფინა ატყდა, მსხვერპლი არსად მინახავს. მერე, უცებ, საპარიტური სიჩუმე ჩამოვარდა და ვერაფრით ამისნაია. თურმე, ადგილობრივი დეტორი ჩვენს შემადგენლობას აცხადებს და გულშემატკივრები ჩემი გვარის გავრცელებს ელოდებიან. ჰოდა, რომ გამოაცხადა: მერე ნომერი-დათუნაშვილი, მთელი სტადიონი ფეხზე იდგა და ილანდებოდა...

**- როგორც გვსმენია, იმ 5:0-ს სხვა გაგრძელებაც ჰქონდა...**

- წელი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მანამდე ერევანში "დინამოს" 1:4 წაუგია "არარატთან". ჰოდა, მეორე საღამოს ერევანი-თბილისის მატარებლის ყველა ვაგონზე სომხებს ეს ციფრები ცარცით დაუხატავთ. სამაგიეროდ, აქ რომ 5:0 მოვიგეთ, ჩვენმა ქომაგებმა არ დაიზარეს და იმავე საღამოს თბილისი-ერევნის მატარებლის ყველა ვაგონზე იგივე გაიმეორეს. თანაც, ცარცის მაგიერად, ზეთიანი საღებავი უხმარიათ. როგორც მერე მოხერხდა, სომხები თურმე ერთი კვირა ხეხდნენ იმ ვაგონებს...

**- საუკეთესო ბომბარდირობის მერე კიდევ ერთი წელი ითამაშეთ "დინამოში" და კარიერაც დაასრულეთ.**

- 30 წლის ვიყავი, ორი-სამი სეზონი თავისუფლად შემიძლო მეთამაშა, მაგრამ აღარ მინდოდა. ანდრო ჟორდანიამ ქუთაისის "ტორპედოში" დამიძახა - საიდანაც დაიწყე, იქ დაასრულეთ. მაგრამ მაინც უარი ვთქვი.

**- მწვრთნელობა არასდროს გიფიქრია?**

- კარიერის განმავლობაში რასაც ვუცქერდი, ყველაზე დაუფასებელი შრომა მწვრთნელებს ჰქონდათ. რაღა შორს წავიდეთ, ანდრო ჟორდანიას მაგალითიც საქმარია...

**- ხანგრძლივი შესვენების მერე მაინც გადაწყვიტეთ ფეხბურთის დაბრუნება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 1998 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობთ, როცა კანდიდატურა წამოაყენეთ.**

- ჩავთვალე, რომ მთელი ჩემი გამოცდილება ამ საქმეში ჩამედო, მაგრამ, ეტყობა, რაღაცები ვერ გავთვალე. არ ვიცი, ნამდვილად არ მოველოდი ამდენ წინააღმდეგობებს... საერთოდაც, მომეწონა, შევწყვიტეთ ამ თემაზე საუბარი - ისედაც ყველას კარგად ახსოვს, თუ რა და როგორ მოხდა ყველაფერი...

**- კარგით და მაშინ ბოლო კითხვას დავისვამთ: რა შეხედულება აქვს 70 წლის იუბილარ ილია დათუნაშვილს დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე?**

- ფრანგებს გამოიქნა აქეთ-პარიზი უცებ არ ამეჩვენებოდა. ჩვენც მოთმინება გვმართებს და მჯერა, რომ წარმატებებს მივაღწევთ. ფედერაციის ახლანდელი პრეზიდენტი ახალგაზრდა, განათლებული ბიჭია და, რასაც ვუცქერ, მონდომებულიც არის. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ისეთი კაცის შვილია, სხვანაირად ვერც იქნება. თანაც, ჩვენ, ვეტერანებს რომ წოდარ ახალკაცი ყურადღებას გვაქცევს, მანამდე არავისგან გვიგრძენია. ჰოდა, თუ რაიმეში დავჭირდით, ვეტერანებიც მუდამ გვერდში დავუდგებით...

გია ტუხაშვილი  
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**მილოცვა**  
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი დაბადებიდან 70 წლის იუბილეს ულოცავენ ვეტერან ფეხბურთელს ილია დათუნაშვილს

პორიანო რეკობა მოასწრებს

Table with 2 columns: Player Name, Position. Includes names like ანდრეა-პარმა, კალარი-ჩეპინჯარი.



ალვარო რეკობა

ფორვარდს კვლავ "ინტერში" მოუწევს ყოფნა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ადრიალი სკამზე უფროსად დიდხანს ვერ მოითმენს.

"რომას", რომელმაც ერთი კვირის წინათ პალერმოში ბრწყინვალედ ითამაშა (2:0), "სინესთან" საშინაო მატჩში პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

და, მაგრამ... მაგრამ მას მერე, რაც სარდინიულმა "ნაპოლის" გასვლაზე იოლად (2:0) მოუგეს, გამოჩნდა, რომ ამ გუნდს გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს.

საინტერესო თამაში იქნება "სამპდორია"-ს "ლაციო". მასპინძელთა მწვრთნელი ვალტერ მაძარი 3-4-1-2 სქემით ითამაშებს.

პირველი ტურის შემდეგ, "ლაციოს" დაცვაში პრობლემები შეექმნა. ამ რგოლში დელიო როსის სტენდარდო და სილია აკლია, თუმცა სკალონიცა და კრიბარიც ძირითადის მთამაშეები არიან.

საინტერესო მატჩს უნდა ველოდოთ ბერგამოშიც, სადაც "ატალანტა" "პარმას" უმასპინძლებს.

"უდინეზე" "ნაპოლის" მასპინძელი იქნება. ფრიულელთა მწვრთნელ პასკუალე მარინოს სირთულეები აქვს ობოლოს, პინცის, დე მარტინოს, ფელიპესა და დინატალეს არყოფნის გამო.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ექსპერტებმა "კატანიას" მშობლიურ "ანჯელო მასიმინოზე" თამაშის უფლება მისცეს, რაც სიცილიური გუნდისთვის, 2 თებერვლის ტრავმების შემდეგ, ერთგვარი ფსიქოლოგიური შვებაა, და არა მარტო ეს: ამ გუნდს აქვს იმის ამბიცია, რომ სატურნირო ცხრილის პირველ ნახევარში მოხვდება და საკუთარ სტადიონზე დაბრუნება საამისოდ უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

"ლიგორნოს" სტუმარი "პალერმო" იქნება. პირველ ტურში დამარცხებისთვის, ორივე გუნდს რეაბილიტაცია სჭირდება.

სუპერთასის გუმინდელმა მატჩმა, შეიძლება, გარკვეული კორექტივები შეიტანოს "მილანის" შემადგენლობაში, რომელმაც ორშაბათს "ფიორენტინას" უნდა უმასპინძლოს.

Table with 10 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Lists teams like 1. იუვენტუსი, 2. მილანი, 3. ფიორენტინა.

Table with 2 columns: Player Name, Position. Includes names like ბუნდესლიგა, ანდრეა-პარმა, კალარი-ჩეპინჯარი.

პაპაბურგის იოლი ლუკა იქნება?

არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ ისტორია და სტატისტიკა იშვიათად აისახება რეალობაზე.

რაც შეეხებათ "მგლებს". ფელიქს მაგათი, ალბათ, უოსუს ნაცვლად ნახევარდაცვაში დააყენებს კიროვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დაცვის მარჯვენა ფლანგზე რიტერი თავის პოზიციას დაუბრუნდება.

რაც შეეხებათ "ნიურნბერგს", აქ ტრავმის შემდეგ ბრუნდება პინოლა, რაც იმას ნიშნავს, რომ მნარი ნახევარ-

დაცვაზე მეტად შეტევაზე იზრუნებს, შესაბამისად, თადარიგში დარჩება სლოვაკი მინტალი.

"პანა" ჯერჯერობით, ერთადერთი გუნდია ბუნდესლიგაში, რომელიც ჯერჯერობით, უჭეულოდაა. როსტოკელები ეცდებიან, არასტაბილურ "ბორუსიასთან" შეხვედრაში გულშემატკივარს იმედი მოჰგვარონ.

დუისბურგში ერთ-ერთი ლიდერი "არმინია" ჩადის. მასპინძელთა მწვრთნელი რუდოლფ ბომერი საყრდენად გეორგიუსს დააყენებს, გამთამაშებელი კი მაიკონი იქნება.

რა თქმა უნდა, საკვირაო მატჩებიდან გამომდინარე იქნება "ჰამბურგი" "ბაიერნი", რომელიც მთლიანად ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა.

ველ კომპანის კი დისკვალიფიკაცია აქვს. მას ალბათ დე იონგე შეცვლის.

ოტმარ პიტცეგელის პრობლემები კი მხოლოდ მარჯვენა მცველ სანოლის ტრავმით შემოიფარგლება.



პაპაბურგს მიიმე გამოცდა ელის

უდრაფის დროული დაბრუნება აწყენდა. კლოზეს თადარიგში უნდა ველოდოთ, ტონი კი გამოჯანმრთელდა და სასტარტოში მოიაზრება.

ზადენ-ვიურტემბერგულ დერბიში დებიუტანტი "კარლსრუე" ჩემპიონ "შტუტგარტს" უმასპინძლებს.

ტრავმების გამო, ჩემპიონის რიგებში ვერ ვიხილავთ კაკუს, ბაშთურქსა და დელაიერს.

Table with 10 columns: Team Name, Goals, Assists, etc. Lists teams like 1. ბაიერი, 2. არმინია, 3. ბორუსი.







უფასოთასი. პირველი რაუნდის წილისყრა

Table listing names and categories for the first round of a tournament. Includes names like სავილია, ნინო, ლევან, etc.

პირველი მატჩები 20 სექტემბერს გაიმართება, საპასუხო 4 ნოემბერს

გერმანია

ბრაზილი უკან იხაზება

ლიოვის ბანაკში ვითარება უკეთესია, მაგრამ იდეალური არ არის...

უელსთან 8 სექტემბრის მატჩისათვის იოახიმ ლიოვიმ სამი გამოჯანმრთელებული თავდამსხმელი გამოიძახა: მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი და მარიო გომესი.

ფრენსი, ტიმ ბოროვსკი და ახალბედა თავდამსხმელი იან შლაუდრაფი. დისკვალიფიცირებულია კიდევ ერთი გამოცდილი ნახევარმცველი ბერნდ შნაიდერი.

მეკარეები - რობერტ ენკე (პანოვერი), ტომი პოლდერანდი (ვალენსია), იენს ლემანი (არსენალი); მცველები - გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), არნე ფრიდრიხი (ვერტა), მანუელ ფრიდრიხი (ლევერკუზენი), მარსელ იანსენი (ბაიერნი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტე-ზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (რეალი), კრისტიან პანდერი (შალკე), სერდარ ტაში (შტუტგარტი); ნახევარმცველები - რობერტო პოლტერი (შტუტგარტი), თომას პიტცლშპერგერი (შტუტგარტი), სიმონ როლფსი (ლევერკუზენი), ბასტიან შვინშაიგერი (ბაიერნი), პოლტერტროხოსკი (შამბურგი); თავდამსხმელები - მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი (კოლნი), მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), კევინ კურანი (შალკე), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

ჰოლანდია

ვან ბასტენის 25 ფაქტობრივი

ჰოლანდიის 8 და 12 სექტემბერს ორი შესარჩევი მატჩი ელოდება. მარკო ვან ბასტენმა 25 ფაქტობრივი გამოიძახა. გამოძახებულია რუუდ ვან ნისტელროი, რომელთანაც ვან ბასტენმა ურთიერთობა ერთხელ და სამუდამოდ გაარკვია.

მეკარეები - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), მარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), პენე ტიმერი (ფეიენოორდი); მცველები - ხალიდ ბულარუზი (სევილია), ვილფრედ ბუმა (ასტონ

ვილა), ურბი ემანუელსონი (აიაქსი), ჰონ პეიტინგა (აიაქსი), კოუ იალიენსი (ალკმარი), იორის მატისიენი (ჰამბურგი), მარიო მელხოტი (ვიგანი), ანდრე ოოიერი (ბლექბერნი); ნახევარმცველები - იბრაჰიმ აფელი (ეინდჰოვენი), ჯოვანი ვან ბრონკოორსტი (ფეიენოორდი), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), დენი ლანდზაატი (ვიგანი), კლარენს ზედორფი (მილანი), ვესლი სნიდერი (რეალი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), დემი დე ზეუვი (ალკმარი); თავდამსხმელები - რაიან ბაბელი (ლივერპული), კლას იან პუნტელარი (აიაქსი), დირკ კუიტი (ლივერპული), რუუდ ვან ნისტელროი (რეალი), რობი ვან პერსი (არსენალი), იან ვენიგოორ ოფ ვესელნიკი (სელტიკი).

ინგლისი. პრემიერლიგა. V ტურის წინ

ოლდ ბრაზილი უკან იხაზება

მანჩესტერს ასეთი ცოტა ძულა უკანასკნელად სამი წლის წინათ ჰქონდა და სეზონი მისამე ადგილზე დაასრულა...

Table with 2 columns: Name and Position. Lists players like ლუკას, ჰოლანდიის, etc.


დღევანდელ თამაშს ჩემპიონებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს. "იუნაიტედმა" სამი ქულა უნდა მოიპოვოს. სერ ალექს ფერგიუსონი უეინ რუნის გამოყენებას არ აპირებს.

თითქმის გადანყვეტილია, რომ "ჩელსის" ფრენკ ლემპარდი არ ეყოლება. გუშინინდელ ვარჯიშზე მან კუნთი დაიჭიმა და ისვენებს.

თითქმის ორწლიანი განშორების შემდეგ როი კინი "ოლდ ტრეფორდზე" ბრუნდება. დღეს საღამოს ის მანჩესტერელთა მეტოქე იქნება. "სანდერლენდის" თავკაცი იმედოვნებს, რომ კრიზისს, რომელმაც მის გუნდში ბოლო ორი კვირის განმავლობაში დაისადგურა, წერტილი დაესმება.

"მანჩესტერს" პრემიერლიგის ისტორიაში პირველ ხუთ თამაშში ექვს ქულაზე ნაკლები არასოდეს ჰქონია. 15 შესაძლებლიდან ექვსი ქულა მან 2004-05 წლების სეზონში დააგროვა და იმ წელიწადს მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. ჯერჯერობით "მენიუს" ოთხი თამაშის შემდეგ ხუთი ქულა აქვს. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ "ემპაქებს" ლუის საა უბრუნდებათ. კრისტიანო რონალდო ისევ დასჯილია, გარი ნევი-ი კი ისევ დაშვებული. ოლე გუნარ სოლსკიერმა, მოგესხენებათ, კარიერა დაასრულა.

"იუნაიტედისაგან" განსხვავებით, "ჩელსიმ" ჯერჯერობით მხოლოდ ორი ქულა დაკარგა. ის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია და დღეს "ასტონ ვილას" სტუმრობს. ყოფილი მოურინოს საკადრო პრობლემა არ აქვს. მცირე ტრავმების გამო არ უვარჯიშიათ დიდე დროგასა, კლაუდიო პისაროსა და ფლორან მალუდას, მაგრამ ბრინჯეში მინც გავმზავრენ. "ვილამ" "არისტოკრატების" სტუმრობის წინ გენერალური რეგეტიცია გაიარა. მან ლიგის თასზე მეოთხე დივიზიონის "რექსემს" 5:0 მოუგო. "ვილის" თავკაციმა მარტინ ონილმა "ფულჰემის" მცველი ზატ ნაიტი შეიძინა. მან დღეს სადებიუტო მატჩი უნდა ჩაატაროს. დაშვებულია კიდევ ერთი დებიუტანტი კერტის დევისი. ვერ თამაშებს ორი ლიდერი, მეკარე ტომას სორენსენი და თავდამსხმელი პატრიკ ბერგერი.



სერ ალექს ფერგიუსონმა და როი კინმა მანჩესტერში ერთად უთვალავი ჯილდო მოიპოვეს, ყოფილი მანჩესტერის მწვრთნელმა მწვრთნელობაში გაუჯიბრება, სანდერლენდსა და იუნაიტედს წარუმატებელი სერიების დასრულება მართებთ

ნუელ ალმუნია შეცვლის. მკურნალობენ ვილიამ გალასი, ემანუელ გუბუ და ბაკარი სანია. "პორტსმუთს" დაცვის მარჯვენა ფლანგზე ახალწვეული გლენ ჯონსონი ეყოლება. "ჩელსის" მის საცვლოდ 4 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ლორენი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე აიწვეს. პედრო მენდესი და ნიკო კრანჩარი მწყობრში არიან. სოლ კემპბელს კი მკურნალობა არ დაუსრულდება.

Table with 2 columns: Team Name and Statistics. Lists teams like 1. ჩელსი, 2. მანჩესტერ სიტი, etc.



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგინებთ

ეროვნული ბიზლინგის

## კალატბურთი

ხვალ, სპორტის სასახლეში. 19:00. საქართველო-ფინეთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. B ღივიზიონი



ბურთით ჰანო მოტოლა

## ისლანდიელთა ჯაპრი ფინალზე გაინს ვიყაროთ

საქართველოს ნაკრები ხვალ ჯგუფის ბოლო მატჩში ფინეთს უმასპინძლებს. მართალია, ფლეი-ოფში გასვლა უფრო A-ჯგუფულ რუმინეთზე დამოკიდებული, ვიდრე თავად საქართველოზე, მაგრამ ნაკრებს გამხსნევება სჭირდება, რათა ფინეთი დაამარცხოს და შანსი შეინარჩუნოს.

იმავე დევიტოვებთ, რომ გულშემატკივარი ისევე მოაგებინებს თავის გუნდს, როგორც ორი წლის წინათ მაკედონიასთან. სხვათა შორის, მამინაც ისეთსავე სიტუაციაში ვიყავით, როგორც დღეს - ვგუფიდან გასვლის 50-პროცენტის მანძილზე არ შეგვრჩენოდა. სამი დღის შემდეგ მაკედონიამ შინ ფინეთი დაამარცხა და ზედა ეშელონში აღზევდა. ახლა ბალკანელები თითქმის ევროპის ჩემპიონატზე არიან - ამისთვის მხოლოდ ისრაელის ძლევას საჭირო.

საქართველოს ნაკრებმა ხვალ უნდა დაამტკიცოს, რომ მისი ამბიციები გადაჭარბებული არ არის...

გუმინ, საქართველოში ფინეთის ნაკრები ჩამოფრინდა. სუომელთა თავკაცი ჰენრიკ დეტმანი საბრძოლველად გაანწყობილი:

- მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გამოსვლას გამოვრიცხავ. პატივს ვცემთ ქართველ გულშემატკივარს, მეტოქე გუნდს და საკუთარ თავს. ვიცით, რომ საქართველოში ყოველ თამაშზე 8-9 ათასი ქომაგი მოდის, რაც ჩვენთვის დამატებითი მოტივაცია და გამოწვევა იქნება. არ გვყავს ტრავმირებული ჰანო მოტოლა. ვეცდებით მის გარეშე გავიმარჯვოთ და ჯგუფური ეტაპი ნაუგებლად დავასრულოთ.

## შილდსმა ნაგება საქუთარ თავზე აიღო

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა კენ შილდსმა ისლანდიდან დაბრუნების შემდეგ პრესკონფერენცია გამართა. თავდაპირველად 29 აგვისტოს მატჩში ქართველთა თამაში შეაფასა:

- ამ ნაგების გამო პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვიღებ. ავსტრიული მატჩის მერე ვთქვი - თუ ისლანდიაშიც ასე ვითამაშებთ, მოგება არ გეინერია-მეთქი. სამწუხაროდ ხარვეზების აღმოფხვრა ვერ მოვახერხეთ და დასანანი მარცხი ვინწინეთ. ვერ ვიტყვი, რომ დრო არ გვყავს, საკონტროლო შეხვედრებშიც იყო შემთხვევები, როცა მეტოქემ დასაშვებზე მეტი ქულა ჩაგვიგდო და დაცვაზე მუშაობას დიდ ყურადღებას ვუთმობდით, მაგრამ ოფიციალურ მატჩში ეს არ გამოჩენილა.

მწვრთნელმა შევირდებს არც შეტევა მოუწონა:

- ისლანდიაში წინასწარ ვთქვით, რომ მეტოქე ფარქვემიდან უნდა შეგვევინროვებინა. მაგრამ ვერც ეს მოვახერხეთ, უფრო მეტად პერიმეტრიდან ვტყორცნიდით, ვიდრე სამწამინი ზონიდან.

კენ შილდსს ნიკა ცქიტიშვილის შესახებ ჰკითხეს...

- იგი ავსტრიასთან მატჩის წინა დღეს ვნახე და ვარჯიშზე დაუბატიე-ვუთხარი თუ ფლეი ოფში გავედით, მანამდე შეგვეწყობი და გათამაშებთ-მეთქი. მაგრამ მას შემდეგ ნიკა ვარჯიშზე არ გამოჩენილა. მას ჩვენთან თამაშის სურვილი არ გამოუთქვამს.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ნიკა დღესაც თბილისშია და ნაკრებთან შეერთებას ელის... დარწმუნებული ვარ, მწვრთნელი და კალატბურთელი საერთო ენას გამოიხატავენ და ცქიტიშვილი ფინეთთან ნაკრებს დაეხმარება. ჩემი აზრით ნაკრებიდან სკიტას ნასვლაც ისევე არ შეიძლება, როგორც კენ შილდსისა...

შკითხველს, ალბათ დააინტერესებს მწვრთნელი საკუთარ მომავალს საქართველოს ნაკრებში როგორი თვალთ უყურებს.

- გუნდში გორდონ ჰერბერტი შევცვალე. მას კონტრაქტი მიმდინარე ციკლის ბოლომდე ჰქონდა. მომავალ წელს რა იქნება, გავაგრძელებ თუ არა ხელშეკრულებას, ჯერ არ მიფიქრია.

ვაუა სიმონიშვილი



კენ შილდსი



# კალატბურთი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი B ღივიზიონი

2 საქტეგბერი

საქართველო vs ფინეთი

დასაწყისი: 19:00

ფინეთი			
მოთამაშე	სმ	დაბ	გუნდი
4. აკი ულანდერი	209	1981	ლავანრანტა
5. ანტი ნიიკილა	210	1978	სასარი (იტალია)
6. კიმი მუურიანი	202	1981	ჰონკა
7. შაუნ ჰაუი	198	1984	ვალპარისო (აშშ)
8. სამი ლუტორანტა	205	1979	კატინა
9. ვუკა მათინენი	203	1978	ჰონკა
10. ტუუკა კოტი	204	1981	რიიტი (იტალია)
11. პეტრი კოვიანი	193	1988	ჰონკა
12. ტომას ლისალო	195	1982	კუოპიტი
13. ანსი კინასლაავი	191	1982	კატინა
14. პეტრი ვირტანენი	183	1980	ლავანრანტა
15. ტაეშუ რანიკო	189	1980	ხიგკი (რუსეთი)

საქართველო			
მოთამაშე	სმ	დაბ	გუნდი
4. ლავა ბაგჩირაიძე	183	1986	აზოტი
5. ვლადიმერ გოილა	209	1981	პრიპორი (რუსეთი)
6. ანატოლი გოილა	192	1983	აზოტი
7. ზაზა ფაჩულია	210	1983	ატლანტა (აშშ)
8. ბიორგი ცინცაძე	192	1986	ტარტუ (ესტონეთი)
9. ვიტორ სანიკიძე	203	1986	ესტონიანტა (ესტონეთი)
10. კოტე ტალაში	193	1984	აზოტი
11. მანუარ მარკოვილი	196	1986	კიევი (უკრაინა)
12. დავით შარვაშიძე	208	1983	აზოტი
13. ვახტანგ ნაცვლიშვილი	205	1976	ლიპონი (საფრანგეთი)
21. ტაირონ ჯონსი	193	1977	კანა (ესტონეთი)
23. ზვიად ბაბიაშვილი	200	1978	პრიპორი

სახალსო ბანკი PEOPLE'S BANK







